ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყემსი

მწყემსმან კეთილმან სული
თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის
იოან. 10—11.

№ 17—18 1883—1909 წ. 30 სექტემბერი

შინაარსი.

სალიტერატურო განყოფილება: ვინ აქცევს ყურადღებას ჩვენს გაჭირვებულს მდგომარეობას?—დაბა ყვირილის თავგადასავალი და შორაპნის მაზრის ადმინისტრაციის მოღვაწეობის მატიანე.—არჩევა სამღვდელოების მხრით სახელმწიფო საბჭოს წევრთა.—ქრისტეს საქმე—თარგმანი, მღვ. ლუკიანოვისა.—ჟურნალ გაზეთებიდან—სპარსეთი.—ოსმალეთის ამბები—უცხოეთი.—ახალი ამბები და შენიშვნები.—განცხადებანი.

ვინ აქცევს ყურადღებას ჩვენს გაჭირვებულ მდგომარეობას?

1893 წელში მე და ობერპროკურორის ამხანაგი, ბ. საბლერი, თფილისიდან მოვდიოდით სალონი ვაგონით. ბევრი ილაპარაკა თფილისის სემინარიაში მომხდარ არეულობის შესახებ და გადაწყვეტით სთქვა: „ამ წელში უთუოდ სემინარია უნდა გაიხსნას ქუთაისში. იმედია ყ-დ სამღვდელო გაბრიელი და თქვენც დაგვეხმარებით ამ საქმეში. დღემდის სინოდს არ სურდა, მეორე სემინარია გახსნილიყო სადმე საქართველოში, მაგრამ დღეს ძლიერ უნდა საქართველოს დასავლეთის სამღვდელოებაც ექმნეს საკუთარი სემინარია“. ბოლოს მკითხა მე, თუ რა დაჯდება ადგილის და შენობის აგება. მე დაწვლილებით მოველაპარაკე ამ საგნის შესახებ და დავარწმუნე, რომ ადგილს თვითონ ბაგრატის სობოროს ახლოს უფასოდ მივსცემთ სემინარიის ასაშენებლად და სემინარიის სახლის აშენებაც არ დაჯდება ასიათას მანეთი მეტი, ვინაიდგან აგურის ყიდვა იაფად დაჯდება გორაზე და ეკლარის ქვის შოვა უფასოდ შეიძლება მეთქი. ჩამოვიდა ქუთაისში, მოელაპარაკა ყ-დ სამღვდელოს გაბრიელს რომელიც ამ ამბით მეტის მეტად მოხარული შეიქნა. ადგილიც მოიწონა და გეგმაც შეადგენინა მით მეუფეებას და გააგზავნინა სინოდში. მოხდა იმერეთის და გურია სამეგრელოის სამღვდელოების დეპუტატების კრება, რომელ კრებაზედაც გარდაწყდა 40,000 მანეთის შეწირვა სახლის ასაშენებლად და 14,000 მანეთის შეტანა ჩვენი საეკლესიო ხაზინიდან სემინარიის შესანახავად ყოველ წლობით.

ჩვენ გვეგონა, რომ საქმე გათავდა და მორიგდა. სეკტემბრის პირველ რიცხვებში 1894 წელსა დაქირავებულ სახლებში გაიხსნა სემინარია. ნუ დაივიწყებთ, რომ ათას მანეთზე მეტი დაიხარჯა სემინარიის სახლის გეგმის შესადგენათ. ბევრი უარი განაცხადა ყ-დ სამღვდელო გაბრიელმა აქედგან შედგენილი გეგმის გაგზავნაზდ, რადგან იმედი არ ჰქონდა, რომ სინოდს მოეწონებია იგი, მაგრამ საბლერმა დაიმედა, რომ სინოდი შეევლარიბი სამღვდელოების მდგომარეობაში და არ მოითხოვს დიდ ძვირფას შენობას სემინარიისათვის. მაგრამ, სამწუხაროდ, ყოველივე თვალთმაქცობათ აღმოჩნდა, ყოველივე დაპირება გაცრუვდა!..

სინოდმა გამოგზავნა კაცი პეტერბურგიდან სემინარიის სახლის ასაშენებელი ადგილის ასარჩევად. ამ კაცს ჰქონდა სხვა ადგილზედაც აქ ერთიორი საქმე მინდობილი და კარგაძალი „პროგონეს“ ფულები აიღო. მაგრამ სამღვდელოების სემინარი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის საქმისათვის თუ რამე წაახდინა, თორემ არა ფერი არ გაუკეთებია. აქ დახედენ პეტერბურგიდან მოსული კაცს რექტორი, ინსპექტორი და მთელი გროვა სემინარიის მასწავლებლებისა, რომელთაც დაუმტკიცეს უვარგმსობა, ბაგრატის სობოროს მახლობლად მდებარე ადგილებისა და სამწუხაროდ ეს მოსული კაცი ყ-დ სამღვდელო გაბრიელის მოსაზრებათა წინააღმდეგ აამხედრეს...

ჩვენ წავიკითხეთ ამ მოხსენება კაცისა სინოდში ქუთაისის სემინარიის სახლის ასაშენებელი ადგილის აღრჩევის შესახებ. მოვიყვანთ რამდენიმე ადგილს ამ მოხსენებიდან: „სემინარიის ასაშენებლად არის დანიშნული სამი ადგილი: ბაგრატის ძველი დიდი ტაძრის მახლობლად, გაბაშვილის სახლი აგურების ქარხნების ახლო და საფირჩხიაზე ვიტუშინსკის ადგილი. პირველი ადგილი, ჩემის ასრით, არ ვარგა სემინარიის სახლის ასაშენებლად, რადგან ვერ გაიმართება იმხელა შენობა როგორიც უნდა იქნეს სემინარია ქუთაისისა, არაეპის.გაბრიელის წარმოდგენილიგეგმით,არამედ იმ გეგმით როგორიც სინოდს სურს. მეორე მიზეზი ის აქვს ამ ადგილს, რომ ეპისკოპოსი ახლოს იქნება სემინარიასთანაო. მესამე მიზეზი ის არის, რომ ეს არქიელის გორა, როგორც მითხრეს, ისეთი მაღალია, რომ დიდ ყინვებში ოცდა ათ გრადუსამდის ადის სიცივე და შეიძლება სემინარიაში საჭირო შეიქნეს სწავლის შეწყერება თვითა და ორი თვითაო, მეოთხე მიზეზი ის არის რომ ამ გორაზ არის მრავალი სამიკიტნოები და ძლიერ ცუდ გავლენას იქონიებს ეს სამიკიტნოები მასწავლებლებზე და მოსწავლეებზე. აქვეა ახლოს სასულიერო ოთხკლასიანი სასწავლებელი და არც ამ სასწავლებლის მოსწავლენი იქონიებენ კარგ ზნეობითი გავლენას სემინარიელებზედ (!?) მე კიდევ მაქვს სახეში ერთი მიზეზი რომლის გამო რაც უნდა კარგი აღმოსჩნდეს ეს ადგილი მაინც არ შეიძლება აქ აშენდეს სემინარია. ეს გახლავსთ ის, რომ ბაგრატის სობოროს ნანგრევები ყოველთვის მოაგონებს სემინარიელებს დიდებულ ქართველთა ერის ისტორიას და ეს უკანასკნელი მიზეზი ჩვენის აზრით, საფუძვლიანია და სინოდმაც ყურადღება უნდა მიაქციოსო. გაბაშვილის ადგილი კარგია, მაგრამ ცოტაა სემინარიისათვის. ყველაზე უკეთესია საფირჩხიის ადგილი ვიტუშინსკისა ეს ადგილი ძლიერ ახლოს არის ქუთაისის ვაკაბალზეო, ამას გარდა წყალ წითელას მდინარის წყლის პირის ფართო მშვენიერი მწვანე მინდვრებიც, სულ ახლო იქნება სემინარიაზე. ზაფხულობით მასწავლებლებს და მოსწავლეებს შეეძლებათ ბანაობა და დროს გატარება“. ეს ბატონი მომხსენებელი დიდ გონიერ კაცად ითვლება პეტერბურგში და, რასაკვირველია პატივდებაში, იყო მიღებული მისი მოსაზრებანი!.. საფირჩხიაზე ვიტუშინსკის ადგილი იყიდეს. ეხლა საქმე მიდგა სემინარიის შენობის გეგმის შედგენაზე. ქუთაისიდან გაგზავნილი გეგმა უარყოფილი იყო. ათასი მანეთი მის შესადგენად წაღებული ტყუილად დაიღუპა. ახალი გეგმა სწორედ მეტი იყო თფილისის ახალ სემინარიაზე. აქ სემინარიაში განზრახული იყო ცოლშვილებით მასწავლებლების დაბინავება, მათი მოსამახურე, მრეცხელი დედაკაცების და მათი თანაშეწეების დაბინავებაც. მოსამსახურეებს თითო ოთრორი ოუახი უნდა ჰქონებოდათ და მშვენიერად უნდა ეცხოვრათ!..

საქმე შეჩერდა იმაზე, რომ ვისი ფულით უნდა აშენებულიყო ეს რომის კოლეზეი? შეიტყვეს რომ სამღვდელოება ერთ დროებითად ორმოცი ათასი მანეთის მეტს ვერ იხდის და ამ შენობას კი დაჭირდებოდა ნახევარი მილიონი ან 400000 მანსად და როგორ უნდა გამოენახათ ეს ფულები? რასაკვირველია ეკკლესიებიდან. ჩვენ განუცხადეთ, რომ ეკკლესიებს არა აქვს ფულები და სამღვდელოებას არ უნდა მაგისთანა უზარმაზარი შენობა. ჩვენთვის საკმაოა ასი ათას მანრთიანი სემინარიის შენობაც. მაგრამ ვინ გაგიგონა! მოახდინა სინოდის ობერპროკურორმა ცნობის შეკრება კრებულისა და ეკკლესიების ყოველ წლიურად შემოსავლის რაოდენობაზე იმერეთის და გურიასამეგრელოს ეპარქიებში. აღმოსჩნდა, რომ არც საძღვდელოებას და არც ეკკლესიებს იმდენი შეძლება არა აქვსთ, რომ დიდი სემინარია ააგონ. ამისთის სემინარიის შენობის აგების საქმე დააყრუეს და ბოლოს არა თუ სემინარიის სახლი ააშენეს. არამედ გახსნილი სემინარიაც დახურეს და დროებით აშენებული ეკკლესიაც დაარღვიეს და მოუფიქრებლად მოხდენილი ხარჯიც დაღუპეს.

ყველა ეს სიტყვები მომგონა ერთმა მშვენიერმა სტატიამ, რომელიც დაბეჭდილია Тифлисъ-ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსულ გაზეთში ახლად აშენებულ თფილისის სასულიერო სემინარიის შენობის გამო ამ სათაურით „კითხვები, რომელსაც ვერავინ პასუხს ვერ გასცემს“.

ყოველივე ღონე იხმარა თფილისის სემინარიის მართებლობამ კეთილ ზნეობიანი და გონიერი სამღვდელო პირების—აღსაზრდელად, მაგრამ არ იქმნა და არა. ეხლა ააშენეს უშველებელი და მშვენიერად მოწყობილი სახლი, რომელიც ელექტრონით არის განათებული. მოწაფეების გამოკვებაც, რასაკვირველია, სულ გამოცვლილი იქნება და არაფრით არ ემსგავსება ძველ ბურსას. არა ვითარი სიმდიდრე და ფუფუნებითი ცხოვრება შაგირდებს ვეღარ გააკვირვებს. მაგრამ ყველა ეს მდიდრული მორთულობა და ფუფუნებითი ცხოვრება დიდ სარგებლობას მოუტანს საზოგადოდ მასწავლებელთ და განსაკუთრებით სემინარიის ეკონომს... რაიცა შეეხება სამღვდელო კანდიდატების კეთილ აღზრდას და მომზადებას ერთი გროშის საღირალს არას მოუტანს. რატომ? მიტომ, რომ არ არის ის, ურომლისოდ არავითარი აღზრდა ზნეობრივი და გონებრივი არ შეიძლება, არ არის მამაშვილური დამოკიდებულობა მასწავლებელთა და მოსწავლეთა შორის, არ არის ძმური სიყვარულობა და თუ ესეთი დამოკიდებულობა არ არსებობს, იქ სიმდიდრე, ძვირფასი მორთულობა და ელექტრონი ვერ შექმნის ზნეობას და ჭეშმარიტ ქრისტიანულ სარწმუნოებას. გარეგანი ნივთების ბრწყინვალება ვერ შექმნის შინაგან კაცის ზნეობრივ ბრწყინვალებას. აღაშენეთ თუგინდ მარმალილოსა, ვერცხლისა და ოქროსაგან სემინარიის კედლები; არ გამოვლიან იქიდან ისეთი მოძღვრები, როგორებიც გამოდიან ფრანგთა უბრალო სემინარიებიდან მომზადებული სამღვდელო კაცები...

საბრალო და ღარიბი ჩვენი სამღვდელოების შვილები ვერ შესძლებენ თავიანთ შვილების გამოზრდას, რომ წელიწადში გარდიხადონ 250 მანეთი ცხრა თვეში. რომელიც შესძლებს და მიეჩვევა ასე მდიდრულ ცხოვრებას, იმან ყ-დ შეუძლებელია აიტანოს ის ღარიბი ცხოვრება, რომელიც უთუოდ მოელის სოფლის მღვდელს,.. დიაღ, ისინი არც ერთი მღვდლად არ წავლენ და თუ შიმშილმა გაუტეხა საქმე წავა, მაგრამ ვაი იმ წასვლას, ის „მწყემსი“ კი იგი არ იქნება, არამედ დაქირავებული და „როცა დაინახავს მგელს, მიატოვებს თავის სამწყესსა და გაიქცევა.

სოფლის მდვდელი.

ლაბა ყვირილის თავგადასავალი და შორაპნის მაზრის ადმინისტრაციის მოლვაწეობის მატიანე.*)

როდესაც ყვირილის ვაჭრებმა და მაზრის სამმართველოს მოხელეებმა გამოსათხოვარი სერი გაუმართეს ყოფილ მაზრის უფროსს, რომელზედაც ახალი მაზრის უფროსიც მიიწვიეს, ყოფილმა მაზრის უფროსმა სადღეგრძელო მიირთვა ახალი მაზრის უფროსისა და სხვათა შორის მოახსენა: „ბედნიერი კაცი ყოფილხართ, რომ განგებას თქვენთვის მაზრის უფროსობა აქ ურგუნებია, მე ვიცნობ ამ ხალხს და განსაკუთრებით ყვირილის ვაჭრებს და გაბედულათ შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ იმისთანა ხალხს, როგორიც არის შორაპნის მაზრის მცხოვრებნი და, განსაკუთრებით, ყვირილის ვაჭრები ვერსად ნახავს კაცი. რაც უნდა მოსთხოვოს მათ პოლიციამ, ულაპარაკოდ აასრულებენ... ამ სიტყვებს, რასაკვირველია, დიდი ყურადღება მიაქცია ვისიც რიგი იყო. ამისათვისაც ახალმა მაზრის უფროსმა მოინდომა, რომ ყვირილაში განეგრძო ყველა ის რაც დაწყებული იყო წინა მოადგილისაგან.

წინანდელმა მაზრის უფროსმა მიშალა მოელს ბაზარში დადგმული რკინის სვეტებზე ორმოცზე მეტი ფარნები და მის ნაცვლად ვაჭრებს გამოაწერინა რვა ახალი მოდის დიდი სინათლის ფარნები. ერთი თვითონ დაიდგა, ერთი ფოსტის წინ დადგა, ერთიც მაზრის სამმართველოსთან და ხუთიც აქა იქ ბაზარში. თითეული ფარნის სასყიდლად გამოანგარიშებული იყო 75 მ. ყველას სასყიდლად

*) იხ. „მწყემსი“ № 15—16 1909 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა დახარჯულიყო მაშასადამე 600 მ. და სვეტის დასადგმელი ფასიანად დაჯდებოდა 700 მ. ვაჭრებში კი მოიბოჭა ათას ორას მანეთზე მეტი. აქ ანგარიში დაიბნა და საზოგადოებას ჯერეთ კიდევ არ შეუტყვია ანგარიში, მაგრამ ველარც ვაჭრები ბედავენ ფიცხელი ანგარიშის მოთხოვას. რომ ცეცხლის ზარალისაგან უზრუნველი ყოფილიყვნენ მთელი ყვირილის მცხოვრებნი, მოიბოჭა ყვირილის ვაჭრებში ათას ორას მანეთამდე. წავიდენ თბილისში და მოიტანეს ორი ბოჭკა და ორი საჭყეპელა თავის „პომპებით." ძლიერ სურდათ ყველას, რომ სადმე ცეცხლი გაჩენილიყო, მაგრამ დაზღვეული სახლი არსად იყო და ისე ცეცხლი არ გაჩნდა. როგორც იქმნა გაჩდა ცეცხლი ასე შუაღამისას. სახლი ხის იყო, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ ცეცხლის საქრობი მანქანები სად ინახებოდა, ყველამ არ იცოდა! ბოლოს გაიგეს სად ინახებოდა მოიტანეს, მაგრამ სახლი კი ორსაათში გადიწვა, რადგან ხის იყო. ესეც თქვენი ცეცხლის საქრობი მანქანები! ადრეც რომ მოეტანათ მაინც არავითარი სარგებლობა არ იქნებოდა, რადგან დაჯანგულიყო და არ მუშაობდა!..

ბ. მანსვეტოვის დროს მოიკირწლა სავაჭრო დუქნების წინ ქუჩა, მოფინა კანავები ბაზრის წინ და ბაზრის მოედანი გაკეთდა ქვაფენილით. ახალი მაზრის უფროსი ქვაფენილების და ზომიერათ ქუჩის მოკირწვლას და კანავების გაკეთებას მიაწერს მარტო ვაჭრებს; მაგრამ ეს მართალი არ არის, ვაჭრების დუქნების წინ თითონ პოლიცია გაურიგდა სიტყვიერად კერძო კაცებს ქვისა და სილის მოტანას, დაიქირავა მუშები და ფულები ვაჭრებს გადაახდევინა და გარდაახდევინა ბევრად მეტი. თვითონ მათ უფრო ნაკლებად დაუჯდებოდათ. ბაზარ მოედნის და დუქნების წინ კანავის გასაკეთებელი ფულებიც ვაჭრებს გადაახდევინეს. რაიცა შეეხება ბაზრის მოედნის ქვაფენილის გაკეთებას სილა და ქვა მთლად სოფლის გლეხებს მოატანინეს. საცოდავი სანახავი იყო გლეხები მთელი კვირაობით გამოწვეული ქვისა და სილის საზიდავად. როცა იტყოდენ, რათ უნდა ვიტანჯებოდეთ ყვირილის ბაზრის მოედნის ქვაფენილის მასალის საზიდავად ჩვენი ხარებით და ურმით ასე მუქთადო, ეტყოდენ: გაჩუმდით თქვე საცოდავებო, არ იცით, რომ ეხლა ომიანობის წესები სუფევსო? ესეც, რომ არ იყოს, იქნება შენც შეგეხვდეს ოდესმე ბაზარში მოსვლაო.—გაჩუმდებოდნენ და ხმას აღარ იღებდენ.

ქუჩაში გაყვანილი კანავა წყლის გასაყვანად ხალხის სასიარულოდ არის გამზდარი, რადგან ბევრ ადგილას გზაზე უფრო მაღალია და საზოგადო გზაზე, რომ ტალახი და ტბა დადგება კანავა კი მშრალად არის და მშვენიერი სასიარულო არის!..

დარჩენილია საზოგადო გზა სავაჭრო დუქნების ჩაყოლებაზე თითქმის ერთი ვერსი, რომელიც საძაგლად ატალახდება ხოლმე წვიმების დროს და ბევრგან ტბებიც დადგება ხოლმე. რომ გზას ასწიოს კაცმა იმდენად, რომ წყალი კანავოთი წავიდეს, ზოგან არშინი და არშინ ნახევარი უნდა აუმაღლონ ერთი ნაპირი და ეს გამოიწვევს დიდ შრომას და ხარჯს.

ზოგიერთი ნაწილი ქუჩების მოკირწყვლა, ქუჩების განათება და ცეცხლის ზარალისაგან სამუდამოთ უზრუნველ ყოფა მცხოვრებლებისა ორიოდე ბოჭკით და ორიოდე ნასოსებით, რომელნიც დღეს აღარ მუშაობენ რიგიანად, ეკუთვნის ძველ ადმინისტრაციას და მის მოღვაწეობას. ანგარიშს ითხოვენ, მაგრამ ისე მშვენიერად ყოფილა დაყენებული საქმე, რომ ვერასფერის გზით ვერ შეიტყვეს ნამდვილი ანგარიში...

პრეგოვორი რომ კანონიერად შედგენილი იყოს, საჭიროა რომ მთელი ერთეული ხალხის საზოგადოებისა ორი ნაწილი უნდა აწერდეს ხელს და თუ სოფლის საზოგადოება კი არა, რამდენიმე კაცი ადგენს პრიგოვორს ერთი სოფლისა ან დაბისა, მაშინ ხელის მომწერთათვის არის სავალდებულო ეს განაჩენი და ვინც ხელს არ აწერს ის თავისუფალია. ამისთვის ქუჩების გასანათებლად ახალი ადმინისტრაციისაგან ფულები მოიბოჭა მომავალი წლის პირველ იანვრამდის, მაგრამ ფარნებით განათება კი მოისპო. დღეს სრულებით არც ერთი ფარანი აღარ ინთება და სრული სიბნელე სუფევს ქუჩებში. რა მისეზია, რომ ფულები აიღეს და ფარნები აღარ ინთება, ეს ჯერეთ ვერ შეუტყვიათ. ბევრი თხოვილობს ისევე ძველი ფარნების

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

დადგმას, მაგრამ ძველი ფარნები სად არის აღარ იცით!.. ბოლოს მაზრის უფროსმა ხალხს გამოუცხადა ხელ წერილ ქვეშ რომ ყველა ვაჭრებსა და მცხოვრებლებს უთუოდ თავის სახლისა და დუქნების წინ მთელი ღამე ჰქონოდათ ანთებული ლამპები, წინაღმდეგ შემთხვევაში მათ მოეკიდებოდენ კანონისამებრ. თუ ყველას დუქნის და სახლის კედელზე ფარნებიექნებოდათ რაღათ ყიდულობდე ნძვირფასს, ფარნებს?..

ახალ მაზრის უფროსს არ უნდოდა ჩამორჩენოდა წინამოადგილეებს რეფორმების შემოღებაში, მაგრამ არ იცოდა რით დაეწყო და ბოლოს მიხვდა და დიიწყო ფეხისადგილების გადაკეთებას. ყვირილაშიდ ჩვეულებად აქვსთ მაზრის უფროსებს თავის სურვილისამებრ გადააკეთონ ფეხის ადგილები. 1880 წლამდე მაზრის უფროსები თხოვილობდენ ღრმა ორმოების ამოთხრას ფეხის ადგილებისათის. 1880 წლის შემდეგ ყველას დაახურვინეს ორ-ოები და ხის ყუთები გააკეთებინეს ცინკით გამოკრული და დაუდგინეს ვალად თვეში ორჯერ ან ერთჯერ დაექირავებიათ კაცი და გაერთანათ სადმე შორს. ვინ გაბედავდა უარის თქმას! ახალმა მაზრის უფროსმა ეს არ მოიწონა და დაავალა ხალხს რომ 1-3 არშ. ორმოები გაეკეთებინათ ცემენტისაგან და გაეწმინდათ ხოლმე. ხალხი ცოტა ხანს შეჩერდა, მაგრამ როცა კარგა ბლომად დაეჯარიმეს მეტი საშუალება არ იყო გააკეთეს, თუ ცემენტის ორმოები არა—ქვიტკირისა მაინც. ამ ბრძანებით ყვირილის მდინარის პირზე ხიდთან ქვიშაზე თუთხმეტი ფეხის ადგილია გაკეთებული. ეს ფეხის ადგილები ისე ახლოს არიან მდინარეზე, რომ საეჭვოა ისინი წყალმა არ წაიღოს. ამ ფეხის ადგილებში შესვლა დიდ წყლობაზე შეუძლებელი შეიქმნება თუ ნავი არ ექნათ პატრონებს. ზოგი ფეხისადგილები ტყუვილად არის აშენებული მისთვის, რომ დაშტრაფვა აიცილონ თავიდან, თორემ შიგ შესვლა შეუძლებელია. რადგან კიბე არა აქვს

მაზრის უფროსმა ყვირილის მიდამოების მცხოვრებლები დაბეგრა, რომელნიც წინეთ თავისუფალნი იყვნენ ამისთვის მათ მიმართეს გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელს დაწვლილებითი თხოვნით, რომ მას მოესპო ეს უჯერო და უკანონო გადასახადები. გაარჩიეს თხოვნა და გუბერნატორის მოადგილემ მოსპო უკანონო გადასახადები და პასუხი მოითხოვა მაზრის უფროსისაგან იმაზე თუ რა საფუძველით სთხოვს იგი გარდასახადს ყვირილის გარშემო მიდამოების მცხოვრებთ? სანამ ეს ბრძანება მოვიდოდა ძალით შეკრიბეს სამას მანეთამდე ფული და წაიღეს, მაგრამ ვერ შეიტყვეს რაში მოიხმარა პოლიციამ ეს ფულები?..

კერძოდ დაქირავებულ 7 დარაჯების ჯამაგირად ვაჭრებს ახდევინებდენ წელიწადში ორი ათას მანეთამდი და მათი ბინის ქირად და შეშისათვის 720 მ. რომელსაც იღებდა ბაზრის ბოქაული!? დარაჯებმა იჩივლეს, რომ ჯამაგირს არ გვაძლევენო, გამოიძიეს და მართალი აღმოჩნდა დარაჯების საჩივარი. დარაჯები ჯამაგირით დააყმაყოფილეს, მაგრამ დარჩა შეუტყობელი თუ როგორ იხარჯებოდა 720 მანეთი დარაჯების ბინისათვის, როდესაც მათი ბინისათვის ოცი მანეთის მეტი არ იხარჯებოდ თვეში ქირა და ამასაც ნახევარს იხდიდა ყვირილისა უჩასტკის პოლიციის ბოქაული ესაიაშვილი და ბაზრის ბოქაული ნემსაძე ერთ თუმანს თვეში.

მაზრის უფროსს მოსთხოვეს ხალხის პრიგოვორები რომლის ძალითაც ახდევინებდა ვაჭრებს სხვა და-სხვა გადასახადებს. ამის თანა ხალხის განაჩენები რიგიანად შედგენილი არ არსებობდენ; არის ერთი განაჩენი, შედგენილი ვაჭრებისაგან 1906 წელში როდესაც დამჯელი რაზმები მოღვაწეობდენ ყვირილაში. ამ განაჩენით ვაჭრები დათანხმებულან შეეწირათ შვიდი დარაჯი, რომელთაც უნდა დაეფარათ იგინი და მათი სავაჭრო დუქნებიც. ეს განაჩენიც ხელ მოწერილია მარტო 119 კაცისაგან ღღეს კი გადასახადები სამას კაცზე მეტს ხდება! გუბერნატორის მოადგილის მოწერილობაც ამაზე თხოვილობს მაზრის უმფროსისაგან პასუხს...

ახალმა მაზრის უმფროსმა შეკრიბა მთელი ყვირილისმცხოვრებნი ვაჭრები და გარშემო სოფლის მცხოვრებნი. პირველად მთელი ხალხი ვერ შეიკრიბა, მაგრამ როცა დაჯარიმებით დაემუქრენ — ყველანი მოვიდენ. შეკრებილ ხალხისათვის უნდა გამოეცხადებინათ გუბერნატორის მოწერილობა, რომლის ძალითაც მთხოვნელები განთავისუფლებულნი იყვნენ გადასახადისაგან, მაგრამ ეს ხალხს არ გამოცხადებია. მაზრის უფროსმა მოითხოვა ახალი პრიგოვორების შედგენა და ბევრს საღამოს პირდებოდა კრებას, მაგრამ ხალხი არ დათანხმდა. ღღეს ყველა ცნობებია შეკრებილი და გუბერნიის სამმართველომ უნდა გარდასწყვიტოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთხოვნელები იმედოვნებენ, რომ ქუთაისის გენერალ გუბერნატორი, რომელიც დაბრუნდა და თ-ვის თანამდებობის ასრულებას შეუდგა არ აღუდგება წინ თავის მოადგილის განკარგულებას და როგორც მცხოვრებს ისე ვაჭრებს მიანიჭებს კანონიერ დაყმაყოფილებას. ხალხის სურვილია, რომ გუბერნიის სამმართველომ დასდვას თავისი მსჯავრი იმ გადასახადებს და რასაც ის გარდაწყვეტს მას არავითარ წინააღმდეგობას არავინ გაუწევს. საშიშო საქმეა მარტო მაზრის უფროსებს მიანღონ გადასახადების დაკანონება.

დიდი განსხვავება არის 1906-სა და 1909 წელს შორის და დროა ყველამ თვითონ იფიქროს თავის თავზე მით ნამეტურ, რომ ომიანობის წესები გაუქმებულია და რიგი და მართებული. ათას გვარ უკანონო და უაჯო ფულების კრეფას მიეცეს დასასრული .. ლაპარაკია იმაზე, რომ 17 ოკდომბერი ეროვნულ დღესასწაულად გამოაცხადდესო. რა უნდა იდღესასწაულოს ხალხმა თუ იგი მოკლებული იქნება იმას, რაც მინიჭებული ჰქონდა 17 ოკდომბრამდე და დღეკი არა აქვს..,

(გაგრძელება იქნება).

არჩევა სამღვდელოების მხრით სახელმწიფო საბჭოს წევრობა.

მთელს იმპერიის სამღვდელოებას ააქვს უფლება აირჩიოს სამი წევრი, შავ სამღვდელოებას ერთისა და თეთრ სამღვდელოებას ორი წევრის. მაგრამ არ ვგონებ, რომ ისეთი წესი იყოს სადმე დედა მიწის პირზე საზოგადოების წარმომადგენელების არჩევისა. როგორც ეს არჩევა ხდება აღრჩევის მოხდენა ისე დაგვიანებულია, რომ ტელეგრამათ თუ მოასწრებს კაცი თორემ მიწერით ძნელია. აღრჩევა ხდება ყოველ საბალოჩინო ოლქში და ის იქნება არჩეული, რომელსაც მეტი ხმა შეხვდება. რუსეთში მიტროპოლიტებს უფრო მეტი შტატები ყავსთ სამიტროპოლიტოში ვინემ სხვა ეპარქიის მღვდეთ-მთავრებს. თუ მოინდომა რომელიმე მიტროპოლიტმა თავისი კანდიდატის გაყვანა, რასაკირველია, შეიძლებს მის გაყვანას. ამბობენ ვლადიმირ მიტროპოლიტს მიუწერია სამღვდელოებისათვის რომ მღ. ვოს-ოვი აირჩიეთო. თუ ეს მართალია, რასაკვირველია, ის იქნება არჩეული. შემდეგში შეიძლება მან სტოლიპინის ადგილიც დაიკავოს!

უმეტესი ხმით იმერეთის ეპარქიაში სამღვდელოებამ აირჩია დეკ. ღაბაშიძე და ქართლ-კახეთის ეპარქიაში—დეკ. მ. ტყემალაძე.

ქრისტეს საქმე.

ერთი ძველი თქმულება მოგვითხრობს, რომ ქალაქ ვენაში იყო ქანდაკება ქრისტესი, რომელიც მხოლოდ ერთი ჩარექით მეტად სჩანდა ყველასთან შედარებით, ვინც-კი მასთან მივიდოდა, დიდი ტანის, თუ მორჩილისა ყოფილიყო იგი.

ამ თქმულებას, მიუხედავად იმისა მართალია, თუ არა იგი, მაინც აქვს თავისი ღრმა აზრი და მნიშვნელობა – ქრისტეს საქმე ყველასათვის შესაძლებელია, რაც უნდა სუსტი და პატარა იყვეს ადამიანი. ქრისტე ისე დიდია, რომ ვერ იტევს მას მთელი ქვეყნიერება; მაგრამ ის ისე პატარაცაა, რომ ეტევა თვითეული თავის თავ-მდაბალ მოწაფის გულში.

დიდია, განუსაზღვრელად დიდია ქრისტეს საქმე. ცხრამეტ საუკუნეზე მეტია, რაც ურწმუნოება და თავისუფალი აზროვნება იბრძვის წინააღმდეგ სახარების ჭეშმარიტებისა, წინააღმდეგ ქრისტეს საქმისა, მაგრამ მაინც რას ვხედავთ ჩვენ? ქრისტიანობა არამც თუ იდგა და სდგას შეურყევლად, არამედ თან და თან უფრო იძენს ახალ-ახალ გამარჯვებებს ყოველივე ბოროტებაზე და უსჯულოებაზე თანამედროვე ხალხთა შორის.

„რაზე არიან დამყარებულნი ჩვენი სამეფონი?—ძალაზე“, ამობს გენიოსი ქვეყნიური ძლიერებისა, ნაპოლეონ პირველი. „მხოლოდ ერთმა იესო ქრისტემ, —განაგძნობს იგი, —დააფუძნა თავისი სამეფო სიყვარულზე,—და ამ წუთში ხალხი მილიონობით მზათ არიან დაიხოცნენ იმის გულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისთვის. არა მხოლოდ ერთმა ღირს-შესანიშნავმა ბედნიერმა დღემ, არა ერთმა რომელიმე გამარჯვებამ მიანიჭეს ქრისტიანობრივ სარწმუნოებას ძლევა-მოსილება. არა, ხანგრძლივმა ბრძოლამ, — სამასი წლის ბრძოლამ, დაწყებულმა მოციქულებისაგან და გაგრძელებულმა მათი მოადგილეების მიერ მთლად შემდეგ ქრისტიანობის ხანში. ამ ბრძოლაში ერთ მხარეზე სდგანან ქვეყნის ყველა მბრძანებლები და ძლიერები, მეორე მხარეს მე ვხედავ არა შეიარაღებულ ჯარს, არამედ რაღაცა საიდუმლო ძალას, რამდენიმე ადამიანს, სხვა და სხვა ქვეყნებში გაფანტულებს, რომელთაც არავითარი შემაერთებელი ნიშანი არ ჰქონდათ, გარდა საერთო სარწმუნოებისა ჯვარის საიდუმლოში. რანაირი განუსაზღვრელი უფსკრულია ჩემ სატირელ ბედსა და ქრისტეს საუკუნო სამეუფოს შორის! მის სახელს უქადაგებენ მთელ ქვეყანას, ის უყვართ და ადიდებენ, როგორც ღმერთსა. იესო ქრისტე არის ღმერთი".*)

ქვეყნიერება ყოველთვის პატივის-ცემით უცქერის თავის გენიოსებს, მეცნიერებაში ხომ პირდა-პირ სიამოვნებით ემორჩილება მათ შეხედულობებს, და ცხოვრებაში სცდილობს მიჰყვეს მათს მაგალითს. მაშ, დაე, თანამედროვე ქვეყნიერებამ ყურადღებით შეიგნოს ეს მშვენიერი მსჯელობა ქრისტიანობაზე, ქრისტეს სქმეზე, მსჯელობა ქვეყნის მიერ ცნობილ გენიოსისა, და იმასთან ერთად მოწიწებით მოსდრკეს წინაშე ქრისტე-მაცხოვრისა და მისის ღვთაებრივი მოძღვრებისა!

ქრისტეს საქმემ აღადგინა ადამიანი ზნეობრივი დაცემის უფსკრულიდან, მისცა მას ძალა და საშუალებანი ზნეობრივი ისეთ სიმაღლეზე ასვლისა, რომელიც მიუწვთომელი იყო ადამიანისთვის, და თითქმის უცნობიც, მანამ ის იყო დარჩენილი თავის საკუთარ ბუნებითი ძალებთან და საშუალებებთან. ჩვენ უნებლიეთ გვაკვირვებს საკეთილოდ ზნეობრივი გამოცვლა გარყვნილი-გაფუჭებული ერთის კაცისაც-კი. რაღა უნდა ითქვას ზნეობრივ გაკეთილოვანებაზე მთელი ხალხებისა, რომელნიც ქრისტიანობამ გაანათლა, გააუმჯობესა მათი ყოფა-ქცევა, აღამაღლა მათი განათლება, განავითარა და გააუმჯობესა მათი წესწყობილება? აი ეხლაც კანიბალებიდან და კაცის-მჭამელი ველური წარმართებიდგან სახარება ჰქმნის ახალ ქმნილებებს ქრისტე იესოს მიერ (2. კორინთ. 5, 7). ჯვარის მადლიანი გავლენის ქვეშ ყველგან ვითარდება მიწის-მუშაობა, ვაჭრობა-მრეწველობა, მეცნიერება და ხელოვნება.

როდესაც ერთმა ნეგრიტიანის მთავარმა მოინდომა გაეგო მიზეზი ინგლისის სიდიადისა, კოროლევამ ამის მიზეზად ის-კი არ დასახელა, რომ სახელწიფოს დიდი სიმდიდრეები ჰქონდა, გამზდავი ჯარი ჰყავდა და ძლიერი ფლოტი ჰქონდა; იმან გაუგზავნა მას ბიბლია ზედ-წარწერით: „სიტყვა ღვთისა შეადგენს ინგლისის დიდების საიდუმლოს". მართლაცა და, რომ გავშინჯოთ ყველა ქვეყნების ვითარება, არ შეიძლება არ დავინახოთ, რომ თანამედროვე ხალხთა შორის ყველაზე განათლებულნი არიან ქრისტიანი ხალხები. აი მოწმობა იმისი, რომ სახარების სწავლას, რომელიც მარადი უოფიდა ქვეყნისა, ეხლაც, ჩვენ დროში, იგივე მნიშვნელობა აქვს!..

წარსული დროის დიდი ადამიანები ცოტათი თუ ბევრად დავიწყებულ იქმნენ. ისინი გადაეცნენ ისტორიას. იმათ მოჭამეს თავისი დრო. ათასში ერთი, თუ ისიც იშვიათად, მოიგონებს მათ ამბავს, თორემ საერთოდ მათმა შთამომავლობამ დავიწყებას მისცა მათი ქვეყნად არსებობა. ასეთი არ არის სასიცოცხლო ბედი ქრისტესი საქვეყნო ისტორიაში. ჩვენთვის, მთელი თითქმის ოცი საუკუნეთი დაშორებულნი ვართ იმ დროს, როცა ის ქვეყნად სცხოვრებდა, იგი იმზომით ჭეშმარიტად ცხოველია თავისი ღვთაებრივი სახით, თავისი უმაგალითო მოძღვრებით და თავისი დიადი საქმეებით, რომ მხოლოდ მასთან ერთობაში, მის კვალზე წასვლაში ჩვენ ვეძებთ ჩვენთვის ნამდვილ ცხოვრებას

ინგლისის პოზიტივისტი მილლი აღიარებს თავის წიგნში „სარწმუნოებათა გამოკვლევაში", რომ იგი „დიდად გაკვირვებულია ქრისტეს პიროვნებით, რომელიც ერთად-ერთია მთელი ქვეყნის ისტორიაში". შტრაუსიც-კი, ერთი მოწინააღმდეგეთაგანი სახარების ღვთაებრიობისა, ამბობს, რომ ღვთის ყველა საქმეებში არ არის სხვა ისეთი საქმე, რომელმაც გააბედნიერებინოს კაცობრიობა ასეთი ამაღლებულის და მარადის ნაყოფიერი მადლით, როგორიც მისცა მას ქრისტიანობამ და რომ ქრისტიანობის დამფუძნებელი არამც თუ შეუდარე-

*) ქრისტეა. ჭეშმარიტება და სიდიდე ქრისტიანობისა.

ბლივ მაღალია ყველა იმ ადამიანებზე, რომელთაც შეჰქმნეს რაიმე დიდი საქმე, არამედ სარწმუნების მხრივაც იგი სდგას მხოლოდ ერთი „როგორც პიროვნება მიუწვთომელი მაღალი“.(ციტე). თვით რენანი, რომელმაც დასწერა ფანტასტიური ისტორია, სახელდობრ, „ცხოვრება იესოსი,“ უწოდებს ქრისტეს „ყოვლადპატიოსან პიროვნებად, რომელიც-კი იცის ისტორიამ„ და ამბობს:„როგორიც-კი უნდა იყვეს ბედი უცნობელი მომავალისა, მაინც იესოს ვერავინ აჯობებს“. ამისთვის სამართლიანად ამბობს რენანის ერთი კრიტიკოსი გრატრი: „ცხოვრება იესოსი“ რენანისა არის აღსავსე მოცილეობით და შეცთომებით, რომელნიც შეურაცყოფენ ქრისტეს; მაგრამ თუ იმ წიგნში მოიპოვება ორი-სამი ადგილი, ზემოთ მოყვანილი სიტყვების მზგავსი, სადაც გამოიხატებოდეს საკვირველება და მოდრეკა ქრისტეს წინაშე, მაშ მთლად დანარჩენს მასში აღარ ექნება არსებობით მნიშვნელობა.“

როგორიცაა ქრისტე, ისეთია მისი საქმეც! სჩანს, ჭეშმარიტად-ღვთაებრივი ძალა აქვს ქრისტეს სწავლას, თუ რომ იგი ახდენს ასეთ სასწაულებრივ მოქმედებას მთელი კაცობრიობის ცხოვრებაზე! და ამ მაცხოვნებელი ძალის გამოცდა შეუძლიან ყველას თავის თავზე, რაც უნდა სუსტი და მცირე იყვეს ადამიანი: „უკეთუ ვინმე ნებასა ჩემისასა ჰყოფდეს, ჰსცნას მან მოძღვრებაჲ ესე, ვითარ რა არს,, ღმერთისაგან არს, ანუ მე თავით თვისით ვიტყვი“(იოან.7, 17),—სთქვა ქრისტე მაცხოვარმა. მაშასადამე, საჭიროა მხოლოდ, რომ თვით საქმეზე ადამიანი გაჰყვეს ქრისტეს სწავლას, და მაშინ თვითეული ჩვენგანი საკუთარის გამოცდილებით დარწმუნდება, რომ იგი ღვთისაგან არს, რომ ქრისტეს საქმე ყველასთვის მისაწვთომია. ჩვენის ცნობისათვის იმაზე დიდი და უსაჭიროესი საგანი ხომ არ არის, როგორც თვითონ ღმერთია, მისი მრავალ სახოვანი სიბრძნე, რომელიც გამოსცხადდა მთელი ქვეყნიერების გაჩენაში, და განსაკუთრებით, დაცემული კაცის აღდგენაში, რომელიც შესრულდა ქვეყნად მოსვლით მხოლოდ შობილისა ძისა ღვთისა. აი ამის ცოდნაში იმყოფება ის უწმინდესი და შეუდარებელი სიხარული, რომელიც შეადგენს სულის ჭეშმარიტს ცხოვრებას: „ესე არს ცხოვრება საუკუნო, რათა გიცოდენ შენ მხოლო ჭეშმარიტი ღმერთი, და რომელი მოავლინე იესო ქრისტე“. (იოან. 17, 3).

მდგ. ი. დუკიანოვი.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

ოსმალეთის ამბები

საუბარი ოსმალელ გლეხებთან.

„რუსკ. ვედომოსტი“-ს კორესპოდენტს ქალ. ბრუსსაში უსაუბრნია კიდეც ოსმალელ გლეხებთან. ბრუსსას გამოფენის სანახავად სტამბოლიდან სულთანი მაჰმად მეხუთეც მოვიდა და გლეხებსაც, რაღა თქმა უნდა, ენახათ იგი. კორესპონდენტს ეკითხა გლეხებისათვის:

—ჰნახეთ სულთანი? მოგეწონათ?

—როგორ არ მოგვეწონებოდა!

სტამბოლში ყოველ კაცს შეუძლიან მისი ნახვა. ახალი სულთანი როდი იმალება. ჩვენ სტანბოლში არა ვყოფილვართ და როცა გავიგეთ, რომ სულთანი ბრუსაში მოდისო, ყველანი წამოვედით მის სანახავად. მთელი ჩვენი სოფელი წამოვიდა. სახლები დავკეტეთ, ყარაულები დავაყენეთ და დიდი და პატარა, მოხუცი თუ ბავშვი, ქალი თუ კაცი—სულ აქ წამოვედით.

—ძველი სულთანი-კი არსად დადიოდა, არა?

—დიახ, ძველი არ დადიოდა, ალბად, ხალხისა ეშინოდა.

—რად ეშინოდა ხალხისა?

ჯერ გაჩუმდნენ და მერე ერთმა სთქვა:

—ხალხს არ უყვარდა. ხალხისათვის არ ზრუნავდა. მარტო თავისი თავი აგონდებოდა. ხომ გაიგეთ, რამოდენა სიმდიდრე მოუგროვებია თავის სასახლეში. მთელი თვე ზიდეს თურმე და მაინც ვერ გაზიდეს.., ხალხს-კი სიღარიბეში ამოსდის სული.

—ცუდი ვეზირები ჰყავდა ძველს სულთანს. აქ ხალხმა ერთი მისი საყვარელი

ვეზირი—ფეხმი ფაშა ხელით გაგლიჯა—იქნება გაგეგოთ კიდეცა. საშინელი ბოროტი იყო.

—ახალი სულთანიკი კეთილი

კაცია, ჩვენ იმას უყვარვართ, ჩვენ კიდევ ის გვიყვარს. ის ჩვენთან მოდის, ჩვენ იმასთან მივდივართ. სულთანი—მამაა, მამაზე უკეთესიცაა, რად უნდა ეშინოდეს თავის შვილებისა?

ერთგან ლაპარაკი ჩამოვარდა კონსტიტუციაზე. ერთმა გლეხმა სთქვა:

—სულთან აბდულ-ჰამიდს უნდოდა

მთელი ძალა მარტოკას თითონ ჰქონოდა ხელში; იგი ჰფიქრობდა: თუ ხალხს თავისუფლება ექნება, მე ძალა გამომეცლება ხელიდანაო. მას არ ეთმობოდა თავისი ძალა, არ უნდა ხალხისთვისაც წილი ჩაედო სახელმწიფოს მმართველობაში. მაგრამ განა ერთ კაცს შეუძლიან ამოდენა სახელმწიფოს მოვლა? ამიტომაც იყო ჩვენში ცუდი მმართველობა, მუდმივი უწესობა და საყოველთაო უკმაყოფილება. ცუდი სულთანი იყო ეხლა სტამბოლში ჩვენი კაცები სხედან ოსმალეთის ყველა კუთხიდან და კანონებს სწერენ, სულთანიც ხელს არ უშლის. ისინი კანონებს სწერენ, ხოლო სულთანი ამბობს: დაე ეგრე იყოს, როგორც თქვენ გინდათ; თქვენ უკეთ იცით, რაც გჭირიათ, დეე თქვენ ნებაზე იყოს ყველაფერი. ახალი სულთანი არ ეწინააღმდეგება და არც ემალება ხალხსა. ამიტომ ეხლა ყველა კმაყოფილია.

—საიდან იცით ეგა? გაზეთებში წაიკითხეთ?

—რა საკვირველია, რომ ვიცოდეთ?

მთელი ქვეყანა ლაპარიკობს და მეჩოთებშიაც მოლები გვიხსნიან. კარგად ვიცით ყველაფერი.

—ეხლა, ახალ წესების დროს

უფრო კარგად ცხოვრობთ?

—აბა რა გითხრათ! რა დიდი

ხანია, რაც ჩვენში ახალი წესები დაწესდა! ერთბაშად ყველაფერის გამოცვლა შეუძლებელია, მაგრამ მაინც ვგრძნობთ, რომ თითქო გულიდან რაღაც ლოდი მოგვეშვაო. ჩვენი მომავლის იმედი გვაქვს...

—რას ელით მომავლისგან?

—სამართლიანობას ველით, სიმართლის იმედი გვაქვს.

ამ ხალხს ხოლოდ მომავლის იმედი აქვს, მაგრამ მას მაინც ეხლავე შეუყვარებია ახალი წესებიც და ახალი სულთანიც... აბდულ-ჰამიდს -კი ეგონა, რომ ამ კეთილ ხალხს ხოლოდ მახვილი და სასტიკობა მოუხდებოდა..

მეორე დღეს ჩვენ მივატოვეთ ბრუსსა, ისევ სტამბოლისკენ გავემართენით, ხოლოდ გზაში ყველეფერს სულ სხვა თვალით ვუყურებდით: ჩვენ საკუთარის თვალით ვნახეთ, რომ ოსმალეთს მაგარი საფუძველი აქვს—ჰყავს ძლიერი, საღი და თავისებური კულტურული გლეხობა...

ოსმალელი გლეხები.

ამას წინად ქალ. ბრუსაში გაიხსნა დიდი გამოფენა და ოსმალეთის ყველა კუთხიდან და ნამეტნავად ანატოლიიდან დიდ-ძალი ხალხი მოვიდა მის სანახავად. „რუსკ. ვედომოსტი.“-ს კორესპონდენტი დაწვრილებით ასწერს გამოფენასა და იქ ნანახ ოსმალელ გლეხკაცებს. იგი სწერს:

„ანატოლიის გლეხები—მაგარი, ლამაზი ხალხია; ეს გლეხები იძლევიან იმ საოცარ ჯარისკაცებს, რომლებთაც ოსმალეთი სამართლიანად ამაყობდა ყოველთვის. სადღესასწაულო კოსტა ტანისამოსში გამოწყობილი გლეხები ჯგუფ-ჯგუფად დადიან ქუჩებში და ყველაფერსა სინჯავენ, ან არა და ყავახანების წინა სხედან დაბალ სკამებზე. ამბობენ, რომ ასი ათასამდე გლეხი მოვიდა ბრუსაშიო. ამოდენა ხალხი რომ ჩვენს საყვარელ სამშობლოში, რუსეთში, მოგროვილიყო, რა საშინელი ღრიანცელი, ლოთობა და მუშტი-კრივი გაიმართებოდა, რა ყოჩაღად გაირჯებოდა სამი ათასი „გოროდოვოი„‘ საგანგებოდ გაგზავნილი „წესიერების დასაცველად“. მოსაგონებლადაც-კი საზარელია!

აქ-კი სულ სხვა სურათსა ვხედავ. ბრუსას ქუჩები სავსეა ხალხით, მაგრამ ამავე დროს ყველგან სიწყნარე სუფევს. საოცრად ღირსეული, კარგად გაზდილი და კულტურული ხალხი ყოფილან ოსმალები. რასაკვირველია, ბევრი რამ აიხსნება ამ ხალხის სიფხიზლით. მაგრამ ერთი ჩემი მეგობარი მეუბნება, ეს აღრზდის ბრალიცაა.

—ოსმალებს ბავშვობიდანვე უნერგვენ,

რომ კაცი თავდაჭერილი, დინჯი, პატიოსანი და ზდილობიანი უნდა იყოსო. ამას მოითხოვს მუსულმანთა კანონი და სჯული. მათ ბავშვობიდანვე უნერგვენ საკუთარ ღირსების გრძნობას.

მართლაც და ანტოლიელ გლეხს მუდამ ძლიერ ღირსეულად უჭირავს თავი. მე-კი მგონია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ აღრზდის გარდა, აქ მნიშვნელობა აქვს ოსმალეთის ისტორიულ და სოციალურ პირობებსაც. ანატოლიელ გლეხებს არ გამოუვლიათ ბატონყმობა, არ განუცდიათ წოდებრივობა. ესენი ყოველთვის მოქალაქეები იყვნენ და არავითარი გარეშე ძალა არ უშლიდა გლეხის შვილს, რომ იგი გამხდარიყო ულემად, გენერალად ან დიდ ვეზირად. სახელმწიფო სამსახურის ყოველ საფუძველზე ასვლა შეეძლო ოსმალელ გლეხს. ოსმალეთში ყოველი გლეხი თანასწორი იყო დიდის ფაშისა. ნამდვილად დემოკრატიული ქვეყანაა!

ოსმალეთის თავისებურ წესების წყალობით აქ თითქმის არ არსებობს მიწის კერძო საკუთრება— გლეხებს შერჩათ საკმაოდ კარგი შეძლება. ოსმალეთში მხოლოდ ადგილ-მამულის ორი პროცენტი ეკუთვნის კერძო მესაკუთრეებს. ხოლო დანარჩენი 68 პროცენტი ეკუთვნის თემებს, სახელმწიფოს და მეჩითებს, და ამ მიწებს ვერცარავინ გაჰყიდის, ვერც არავინ დაიგირავებს; ეს მიწები გლეხებს აქვთ აღებული, ან გძელ ვადიან, ან სამუდამო იჯარით. ეს მართალია ძველებური წესებია, მაგრამ მათი წყალობით ოსმალელ გლეხს დღემდე შერჩა მიწა, მათი წყალობით ოსმალელი გლეხობა—მაგარი, მძლავრი ხალხია, სავსე საკუთარ ღირსების გრძნობითა, პატიოსანი და სტუმარ-მოყვარე, მგონია კიდევ, რომ თუ მიუხედავად თავისი სულთნების, ვეზირების და ფაშების ბეჯით მეცადინეობისა, ოსმალეთი დღემდი არ ამოიშალა ევროპისა და აზიის რუქებიდან, ამას იგი უნდა უმადლიდეს უფრო თავის მაგარ გლეხობას, ვიდრე დიდ სახელმწიფოთა მეტოქეობას ან სხვა გარეშე ფაქტორებს.

სპარსეთი.

რუსეთის დიპლომატების ამბავი.

„რუს. სლოვო"-ს პეტერბურგელი კორესპონდენტი სწერს: „რუსის დიპლომატებს შესაძლებლად მიიჩნიათ, რომ მამედ-ალიმ ისევ დაიბრუნოს ტახტი, რადგან მათის აზრით, ანარქია სპარსეთში თან და თან ძლიერდება.

რუსის ჯარი რჩება სპარსეთში.

„ტფილ. ლისტო"-ს ატყობინებენ თეირანიდან: „სარწმუნოდ შევიტყეთ, რომ რუსის ჯარი ყაზვინსა და თავრიზში დარჩება და მომავალ ზამთარსაც იქ გაატარებსო.

მამედ ალის ინტრიგები.

გერმანულ გაზ. „ფრანკფ. ცაიტუნგ"-ის თეირანელი კორესპონდენტი სწერს: ნაშაჰარმა მამედ-ალიმ რამდენიმე მომთაბარე ტომი წაიქეზა და აიჯანყა ახალ მთავრობის წინააღმდეგო.

არეულობა ლურისტანში.

ლურისტანში რეაქციონერების ჩაგონებით ადგილობრივმა ყაჩაღთა ბრბოებმა არეულობა მოახდინეს და ბევრი სოფელი აიკლეს როგორც მუსულმანებისა, ისე სომხებისა. ზოგი სოფელი მოჰკლეს კიდეცა. მთავრობამ მუჯარიდების (რევოლიუციონერების) რაზმი გაგზავნა ყაჩაღების ასალაგმად.

სათარ-ხანი.

7 სექტენბერს სათარ-ხანი მივიდა ქალ. არდებილში იქაურ რეაქციონერების წინააღმდეგ საბრძოლველად. მცხოვრებლებმა დიდის ამბით, თიოფის სროლითა და მუსიკით მიიღეს თავრიზის გმირი.

სათარ-ხანი, როგორც ვიცით, არდებილის გუბერნატორადაა დანიშნული.

მოხალეების დათხოვნა.

სპარსეთის მთავრობა ითხოვს ყველა მოხელეს, რომელიც სამსახურში ან პროტექციითაა მიღებული ან ქრთამით.

დროებითმა მეჯლისმა დაარსა გამომძიებელი კომისია; ამ კომისიამ უნდა სამართალში მისცეს ყველა მოქრთამე მოხელე, რომლებიც შორეულ პროვინციებში დღესაც განაგრძნობენ სამსახურს."

უცხოეთი

„იაპონია საომრად ემზადება"

„ნოვ. ვრემია"-ს საკუთარი კორესპონდენტი იუწყება ვლადივასტოკიდან:

„მეტად ბევრი ომები მოდის იაპონიიდან. იაპონიაში ყველას ომი აკერია პირზე. ყველგან ჯარს უმატებენ. დიდძალ საომარ და საკვებ სურსათს ამზადებენ ჯარისთვის. თოფებს საჩქაროდ უცვლიან მიზნებს და ახლებს უკეთებენ მწვეტიან ტყვიის სასროლად. არტილერია დიდის სისწრაფით

ომზადებს ახალ მასალას. ჯარი ბეჯითად ვარჯიშობს თოფის სროლაში და მუდამ აღლუმებს უმთავრესად ცუდ, წვიმიან ამინდში და ღრუბლიან, ბნელ უმთავარო ღამეობით ახდენენ. მთელი ყურადღება მიქცეულია ჯარზე, ფლოტი თითქმის მივიწყებულია.

ამბობენ, იაპონიას უკვე აქვს ოცამდე სამხედრო დირიჟაბლი, მაგრამ მათ მეტის მეტად საიდუმლოდ ინახვენო. ცხადია, ვის წინააღმდეგაც ემზადება იაპონია; ჩინეთისთვის ამოდენა ხარჯი და მზადება საჭირო არაა და არც თუ ჭკვა აქნებოდა. იაპონიელებს ხან და ხან უცხოელებთან საუბარის დროს, და არას დროს რუსებთან, წარმოსცდებათ ხოლმე, რომ 1904-5 წლის ომი ჯერ დამთავრებული არაა, რუსეთი უთუოდ უნდა მოვწყვიტოთ ოკეანიდან და აუცილებლად გადავახთევინოთ კონტრიბუციაო. ვლადივასტოკში იაპონელების დიდი ფირმები თავიანთ საქმეებს სპობენ და რუსეთიდან გადიან. ამავე დროს ამურის ოლქი ივსება წვრილ მოვაჭრე და ხელოსან იაპონელებით, რომლებსაც შეუძლიანთ 10-12 საათში შეკრან მთელი თავიანთი ბარგი-ბარხანა და რუსეთიდან გავიდნენ.

არ მინდა ავყაო წინასწამერტყველი გამოვდგე, მაგრამ მაინც ვშიშობ, ვაი თუ 1910 წელმა 1904 წელი გაიმეოროს. მეტად გამწვავებული მდგომარეობაა-და!

ჩინელების გამარჯვება.

ამ ერთი წლის წინად ინგლისურ გემ „ფუზან"-ის კაპიტანმა წიხლი ჩასცა და სული ამოახადა ერთ ჩინელ მუშას. გემი „ფუანი" მუშობს ჩინეთის ზღვაში გონკონსა და კანტონს შუა და ეკუთვნის ინგლისელ მეგემეთა საზოგადოებას. ჩინელებმა ჯერ საჩივარი შეიტანეს, მაგრამ რაკი ამ გზით ვერას გახდნენ, მერე ბოიკოტი გამოუცხადეს ინგლისელ მეგემეთა საზოგადოებას. ბოიკოტმა აუარებელი ზარალი მიაყენა საზოგადოებას და ბოლოს ქედიც მოაბრევინა; საზოგადოება იძულებული იყო შემდეგ პირობებს დასთანხმებოდა: პირველი, მუშის მკვლელი კაპიტანი დათხოვნილ იქნება სამსახურიდან; მერე, საზოგადოება 2000 ტაელს (1 ტაელი — 2მან.) გადაუხდის მოკლულ მუშის ქვრივს; მესამე, საზოგადოების წარმომადგენელნი ოფიციალურად ბოდიშს მოიხდიან ჩინელ მოხელეების წინაშე და დასასრული, მეოთხე, საზოგადოება პირობას იძლევა, რომ მისი მოსამსახურეები ამიერიდან ზრდილობიანად მოექცევიან ჩინელ მუშებს.

ჩინეთის სამხედრო მზადება.

„რეჩ"-ს ატყობინებენ ხარბინიდან; პეკინში საიდუმლო თათბირზე მოიწვიეს ჩინეთის ფლოტის ყველა უმაღლესი მოსამსახურენი. ხან-ვეიში გაიღეს უმაღლესი საზღვაო აკადემია და დიდად გაფართოვეს ვერფი, რომელშიაც ამ თვეში შეუდგენენ 5 კრეისერისა და 3 დიდ ნაღმოსნის აშენებას. წარსულ ივნისში დაარსებულ საფლოტე ფონდის შესავსებად გამართეს საყოველთაო ხელის მოწერა. მთავრობამ აუცილებელ საჭიროებად სცნა მთელის სამხედრო ორგანიზაციის ძირეულად შეცვლა: წინანდელი გაუწრთვნელი ჯარი დათხოვნილ იქნება და დაწესებულ იქნება საყოველთაო სამხედრო მგზავრა; ჯერ ჯერობით 35. ახალ დივიზიის დაარსებას შეუდგენენ. მანჯურიის მდინარეთა და ზღვის სანაპიროს დასაცველად გადასდვეს 2 მილიონი ლანი. მდინარე სუნგარისა და ამურის ნაპირებზე უფრო მნიშვნელოვან ადგილებში მეცხოვნე ჯარები გაძლიერეს. დაი-ხოიში (ბლაგოვეშენსკის პირდაპირ) ჩინელები დიდ სიმაგრეებს აშენებენ. მდინარე სუნგარის შესართავთან ხ-რენ-ტოკეონთან ააშენეს მთელი მწკრივი სიმაგრეებისა.

ამერიკის ელჩის აზრი ჩინეთზე.

ამერიკის ახალ ელჩს პეტერბურგში ბ ნ როკჰილის საუბრის დროს, სხვათა შორის, უთქვამს „რეჩ"-ის თანამშრომლისთვის:

ჩინეთისა და იაპონიის ახალი შეთანხმება სრულიად ბუნებრივად მიმაჩნია, რადგან ამ ორ სახელმწიფოს მეგობრობა ჰსურთ ერთმანეთთან. ჩემის აზრით, ჩინეთისთვის აუცილებელია ყველა მეზობელთან მეგობრობა, ჩინეთს შინაგან განვითარებისთვის ამ ჟამად სჭირია მშვიდობიანობა. ჩინეთი აღორძინების გზას დაადგა და თუმცა ბევრს არა სჯერა ესა, მე მაინც გეტყვით, რომ ჩინეთმა უკვე საოცარ წარმატებას მიახწია. ვინც 15—20 წლის წინად ყოფილა ჩინეთში, ეხლა ველარ იცნობს ამ ქვეყანას. ჩინეთის მთავრობამ მრავალი ადმინისტრატული და ეკონომიური რეფორმა მოახდინა. სახალხო განათლების საქმე ძლიერ მაღლა სდგას ჩინეთში. დიდი ყურადღება მიაქციეს აგრეთვე ქალების განათლებასაც. პეკინში გაიყვანეს ელექტრონი და ტელეფონები. როდესაც 10 წლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინად მთელ ჩინეთში 10 ჩინური გაზეთი ძლივს გამოდიოდა, ეხლა იქ 200-ზე მეტი გაზეთი ითვლება. ერთის სიტყვით, ჩინეთმა შორს წაიწია წინ და ახლაც თუმცა ნელის, მაგრამ მაგარის ნაბიჯით მიდის წარმატების გზაზე. ჩინელები მეტად მხნე და მომთმენი ხალხია...

რუსეთ-გერმანიის კონფლიქტი ხარბინში.

ეს რამდენიმე ხანია ჩინელებმა ხარბინში განაცხადეს: საქალაქო გადასახადებს რუსის მოხელეებს აღარ მივცემთ, რადგან ხარბინში ჩვენ მარტო ჩინეთის მმართველობას ვცნობთ და არა რუსისასაო. მათ მხარი დაუჭირეს ხარბინში მცხოვრებმა უცხოელებმაც. ამის გამო რუსის პოლიციამ გერმანიის რამდენსამე ქვეშევრდომს, რომლებმაც გადასახადი არ გადიხადეს. ქონება შეუკრა სხვათა შორის რუსის პოლიციამ, მაღაზია დაუბეჭდა გერმანიელთ გიტმანისა და აუენჰამერის ფირმას. ამ ფირმამ იჩივლა გერმანიის კონსულთან ბაუმიულერთან. კონსული მივიდა და რუსის პოლიციის წინ ბეჭდები ააგლიჯა და ფირმას უბრძანა, ვაჭრობა განაახლეთო. რუსის მოხელეებმა პროტესტი გამოუცხადეს კონსულს. მგრამ იმანაც ისევ ის პასუხი მისცა: აქ მარტო ჩინეთის მთავრობასა ვცნობო, და თან დაიმუქრა: თუ რუსის მოხელეები რაიმე ძალდატანებით ღონისძიებას მიიღებენ ფირმის წინააღმდეგ, მაშინვე გერმანელ ჯარს კაცებს ჩავაყენებ მაღაზიის დასაცველადო.

ამ ინციდენტმა მეტად შეაწუხა რუსეთის უმაღლესი წრეები. „რუს. სლოვო"-ს პეტერბურგელი კორესპონდენტი სწერს: იმ შეტაკებამ, რომელიც ხარბინში მოუვიდათ გერმანიის კონსულსა და რუსის პოლიციას, მეტად ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა და გაცხარებული მითქმა-მოთქმა გამოიწვია რუსის დიპლომატთა წრეებში. მაგრამ მათ არ უნდათ მისი გაზვიადება და როგორც ეტყობა, დიდის ხალისით სულაც ჩაჩქმალავდნენ ამ შემთხვევას, გაზეთებს რომ განგაში არ აეტეხათ. ერთმა გამოჩენილმა რუსის დიპლომატმა კარგად ჩახედულმა შორეულ აღმოსავლეთის საქმეში, მითხრა: გერმანიის კონსულის მიერ გამოწვეული ინციდენტი, სხვა მრავალ მაგალითთან ერთად, არის ნიშანი ჩვენის სისუსტისა შორეულ-აღმოსავლეთში. იაპონია-ჩინეთის შეთანხმებამ უფრო გამოამჟღავნა ეს სისუსტე. გერმანია ხომ ამ ბოლოს დროს ძლიერა სცდილობს იაპონიასთან და ჩინეთთან დაახლოვებას და ამათ სასარგებლოდ ბოლოს უღებს იმ გავლენის ნატამალსაც, რომლითაც რუსეთი ჯერ კიდევ სარგებლობს ჩრდილოეთ მანჯურიაში.

გემის გამოგზავნების 100 წლის იუბილეი

მომავალ 12 სექტენბერს 100 წელიწადი შესრულდება იმ დღიდან, რა დღესაც განთქმულმა ამერიკელმა მოქალაქემ რობერტ ფულტონმა პირველად გამოიგონა გემი. ამ დღეს ნიუ-იორკსა და მთელს შეერთებულ შტატებში დიდის ამბით იდღესასწაულებენ. დღესასწაული ორს კვირამდე გასტანს. 12 სექტენბერს ნიუიორკის ნავთ სადგურში დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად მოვა სხვა სახელმწიფოთა ფლოტიც. ინგლისი ნ ჯავშნიან კრეისერს ჰგზავნის. თანამედროვე დევ-გემებთნა გვერდით ნავთ სადგურში დააყენებენ ფულტონის პირველი გემის ნიმუშსაც. ათასამდე გემი მოუნდება ხალხის ზიდვას დღესასწაულზე.

ახალი ამბავი და შენიშვნები.

რუსების გადმოსახლება.

* * * რამდენიმე დღის წინად ტფილისში ყუბანის ოლქიდან ჩამოვიდა ექვსი რუსი „ხოდოკები" ტფილისიდან გამგზავრნენ კახეთისაკენ, მოიარეს ბევრი ადგილი, კარგად დაათვალიერეს შირაქის ველი და სხვა ადგილები. „ხოდოკებმა" განაცხადეს, ჩვენ კახეთში მოგვეწონა დასახლებული ადგილები, მაგრამ ყარაიაზაში გვაძლევენ სახელმწიფო ადგილებსაო. როგორც გავიგეთ, რუსების გადმომსახლებელ სამმართველოს გამგის თანაშემწეს ბ-ნ მულინს ყუბანელ გლეხებისათვის ყარაიაზში მოუხერხებია დასასახლებელი ადგილები. უკვე შესდგომიან ადგილების დაგეგმასა და სამოსახლოებად დანაწილებას. ყუბანიდან ყარაიაზში რამდენიმე ათეული კომლი მოდის დასასახლებლად. საოცარია ღმერთმანი! ჩრდილოეთ კავკასიაში ამას წინად მიწადმოქმედების რწმუნებულმა ბ-ნმა არქიპოვმა სამი

სოფელი დაასახლა საქართველოდან გადაყვანილ გლეხებით. თუ იქ თავისუფალი ადგილებია, რატომ იქ ამ ყუბანელ რუსებს არ ასახლებენ და აქ. ყარაიაზში კიდევ — ქართველებს?!

*** მასწავლებელთა ჯამაგირის მომატება. როგორც დეპეშათა სააგენტო გადმოქცემს, მთავრობას სახელმწიფო სათათბიროში შეაქვს კანონ-პროექტი 250,000 მანეთის გადადების შესახებ. ამ ფულით ჯამაგირს მოუმატებენ სამრევლო-საეკლესიო სკოლების მასწავლებელთ კავკასიასა, ციმბირსა და საშუალო აზიაში.

*** მირონის ცხება. კვირას, 13 სეკტენბერს მოხდა სომეხთა ქათალიკოსის მირონის ცხება ეჩმიაძინში. სადღესასწაულოდ ტფილისიდან ბევრი სომხობა გაემგზავრა. ტფ. ქალაქის თავის მოადგილემ ალ. ივ. ხატისოვმა შუამდგომლობა აღძრა რკინის გზის მოძრაობის უფროსთან, დამატებითი ვაგონები მოუბან ერევნისკენ მიმავალ მატარებლებს.

*** მისი იმპერატორებითი დიდებულების ხელმწიფის ნამესტნიკს ოტომპერრში მოელიან თფილისში.

*** მშვენიერი დარი დაიკავა ამ სეკტემბრის თვემ. გვიან დათესილი რაც იყო თითქმის ასწრებს მოსვლას.

*** ყვირილის ბაზრის ნაჩალნიკი თ. დ-ნი დანთხოვეს მის მაგიერ დანიშნეს ბაქრაძე, რომელიც უნდა დანიშნულიყო საჩხერეში, მაგრამ გუბერნატორმა არ დანიშნა რადგან საზოგადოებამ საჭიროდ არ დაინახა ბაზრის უფროსის დანიშვნა დ. საჩხერეში:

—ბაზრის გოქაუდი ბ. ნემსაძე ერთი თვის ოტპუსკით არის დათხოვნილი.

*** ს. ჩელბასაში, მელიტოპოლის მაზრა, გლეხებმა ქურდები დაიჭირეს და მათი დასჯა განიზრახეს. აქვე ჩაქოლავდენ კიდეც, დაჭერილების ნათესავები რომ არ მოშველებოდენ. მოხდა ჩხუბი, ნათესავებმა გაიმარჯვეს და იქვე კეტებით მოკლეს სამი გლეხი. ოცზე მეტი გლეხი ორივე მხრივ დასახიჩრებულია. ასეთი ამბავი ხშირია, ალბად რუსეთშიაც ხალხს სასამართლოს და ადმინისტრაციის იმედი არა აქვს, რომ მათს გადაწყვეტილებას არ უცდის და თავის ნებით თვითონ იჭერს, სჯის და კლავს ქურდებს. საგულისხმო კიდევ ის არის, რომ ადამიანს რუსის ხალხი ისე ადვილად ჰკლავს თითქო ქათამი იყოს.

(„ივერია.")

*** 1867 წელს რუსეთის სატუსაღოებში ერთი მეორეზე ყოველ დღე 77,154 ტუსაღი იჯდა, 1900 წ. 85,857 ტუსაღი, 1903—69,005, 1908—111,403 ტუსაღი და ახლა კი 196,385 ტუსაღია, 1610 წელს კი მთავრობის გამოანგარიშებით 180,000 კაცისათვის არის საჭირო სატუსაღოში მუდმივი ადგილი. დიაღ კარგი ნუგეშია!

*** სენატორებს კარგი ჯამაგირი აქვთ. კავკაზიის მზრრნველად ნამყოფ ზავადსკის მაგ. 13,000 მანეთი ეძლევა, სხვებს ზოგს 10,000 მანეთი აქვს. ზოგს კიდევ 8,000 და ზოგს 7,000 მანეთი. ხოლო 63 სენატორს ჯამაგირად უნდება 753,530 მ.

*** დაბა ყვირილის ვაჭრებთა და გარეშე მცხოვრებლებთა აღძრული საქმე გუბერნატორთან მალე გადაწყდება გუბერნიის სამმართველოსაგან ვაჭრებთა და მცხოვრებთა სურვილისამებრ. ვაჭრებს მიეცემა უფლება, რომ საჭირო ხარჯების აკრეფა და მოხმარება მათვე დაარსონ და მათვე განაგონ. გარშემო მცხოვრებნი გადასახადისაგან თავისუფალნი იქნებიან. ფულის ანგარიშის ყურის მგდებელი თვითონ გუბერნიის სამმართველო იქნება. მომავალ დროში დაკანონებული იქნება ყველა დაბების მმართვა-გამგეობის კანონების წესები, რომელსაც ჩვენი ყვირილაც დაექვემდებარება... მადლობა ღმერთს, ამის შემდეგ მაინც ასკილდება უაჯაო გარდასახადების გარდახთას მცხოვრებნი და უკანონოდ წაღებული ფულებიც უკან დაუბრუნდებათ.

*** ვერსად შოობენ გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებას და ეკლესიაში საჭირო სახმარ წიგნს ლაგითნს. რატომ? მიტომ, რომ გაბრიელის ანდერძის სისრულეში მომყვანთ ლეტარგიული ძილით სძინავს და კანტორა და ეპისკოპოსები ხმას არ იღებენ.

*** გამოვიდა საღმრთო სჯულის სასწავლო წიგნი რუსულ ქართული დ. დ. ღამბაშიძისა.

განცხადებანი

ვაცნობებთ პატივცემულ შორაპნის მაზრის სამღვდელოებას, რომ 15 ოკტომბრიდან ამა წლისა ჩვენ გვეუოლება გამოცდილი მკერვალი სამღვდელოების

ანაფორებისა და კაბებისა

საკუთარის ჩვენს სამკერვალოში დაბა ყვირილაში ბებიაშვილის სახლის ახლო ახალ ბაზრის მახლობლად. საქმეებს ვასრულებთ დანიშნულ დროზე და ხელმისაწდომ ფასებში იმედია პატივცემული სამღვდელოება არ დაგვტოვებს უეურადღებოდ ⁄ ⁄ ⁄

ისყიდებიან

დეკანოზი დავით ღამბაშიძისაგან შედგენილი და გამოცემული წიგნები:

თბილისში, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ყვირილაში—«მწყემსი»-ს რედაქციაში.

1. საეკლესიო და ღვთის-მსახურების წიგნები,

1. ლოცვანი ნახატებიანი, გამოცემა მეხამე. მართლ-მადიდებელი ეკლ. უმთავრესი დღესასწაულების ისტორიული მოთხრობით. ამ ლოცვანში არის მთელი წლის ტროპარ-კონდაკები, სერობა, პარაკლისი ღვთის-მშობლისა და ზიარების ლოცვა. აგრეთვე ამ ლოცვნის სრულს თვეთა-მეტყველებაში არიან ჩართულნი საქართვ. წმიდანები მათი ისტორიული მოთხრობით და ტროპარ-კონდაკებით. ფ. ყდით 25 კ. და უყდოთ . . . 20 კ.
2. წესი სნეულის ზიარებისა და ერცელი პანაშვიდისა, ფასი . . . . 10 კ,
3. Oცხალთა და გარდაცვალებულთა მოსახსენებელი კონდაკი (კარგის ყდით) ფ. . 20—
4. კონდაკი იოანე ოქროპირის წირვისა უყდოთ 30 კ. კარგი ყდით . . 50 »
5. შემოკლებული ლოცვანი ანბანით და თორმეტი საუფლო დღეების ტროპარ-კონდაკებით ფ. . . . . 5 »
6. საქართველოს ეკკლესიის წმიდანები რუს. 5 „

2, სასწავლო და სახელმძღვანელო წიგნები.

1. დარიგება საღმრთო სჯულის სწავლებაზე, 30 კ.
პირველი ნაწილი უყდოთ 25 კ. ყდით 30 კ.
2. დაწყებითი გაკეთილები საღმრთო სჯულის სწავლებაზე, ფასი . . . 15—
3. ახალი სასულიერო კონსისტორიათა წესდებულება—ფასი . . . 30 კ
5. მღვდელთათვის საიდუმლოების შესრულების დროს საჭირო სახელმძღვანელო წიგნი—ფასი ყდით . . . . 20 კ

3. სამკურნალო წიგნები და დარიგება ჯანმრთელობის დაცვაზე.

1. ახალა კარაბადინი, მეორე გამოცემა დამატებით, რომელიც განხილული, მოწონებული და ნება-დართულია კავკასიის საექიმო რჩევისაგან ყდით ფასი . . . 1 მ.
უყდოთ . . . . . 60 კ.
2. დარიგება მხედველობის დაცვასა და თვალების მოვლაზე, ფასი . . . 10—
3. ჯანმრთელობა და ავადმყოფობა ექიმის საუბარი . . . . . 5 კ.

4. შესანიშნავი მონასტრები და ეკკლესიები და ამ მონასტრების აღმაშენებელთა ცხოვრების აღწერილობანი,

1. მცხეთის ტაძარი და წმიდა ნინო, ქართ. განმანათლებელი, ფასი. . . 15 კ.
2. ბელათის მონასტერი და ცხოვრების აღწერილობა მეფის დავით აღმაშენებ. . 15 კ.
იგივე რუსულ ენაზე . . . 20 „
3. შიო მღვიმის მონასტერი და ცხოვრების აღწერა ღირსისა მამისა ჩვენისა შიოსი 5 კ.
4, მთავარ-მოწ. დავით და კონსტანტინე და მოწამეთის მონასტერი.—ფასი . 5 კ.
იგივე რუსულ ენაზე . . . . 10 კ.
5. ვარძიის მონასტერი, ფასი . . 5 კ.
6. მარტვილის მონასტერი . . . 2 კ.

5. საუფლო და ღვთის-მშობლის დღესასწაულების აღწერა ზნეობრივ სწავლა დარიგებით.

1. ღვთის-მშობლის დაბადება, სურათით . 2—
2. ტაძრად მიყვანება ღვთის-მშობლისა, ფ. . 2—
3. ამაღლება პატიოსნისა და ცხოველს-მყოფელისა ჯვარისა, სურათით. . . 2—
4. შობა უფლისა . . . . . 2 კ.
5. მირქმა უფლისა, სურათით.—ფასი . 2—
6. ხარება ყოვლად წმიდა ღვთის-მშობლისა 2—
7. ბზობა სურათით—ფასი . . . 2—
8. აღდგომა სურათით—ფასი . . 2—
9. მიძინება ყოველად წმ. ღვთის-მშობლისა, 2—
10. ხელთუქმნელი ხატის ისტორია . . 3 კ.

6. მოწამენი, ღირსნი მამანი და დედანი საქართველოს ეკკლესიისა, შესანიშნავი საქართველოს მეფენი და დედოფალნი:

1. წმიდა მოწამე რაჟდენი, სურათით, ფასი . 3 კ.
2. წმ. ნინო ქართველთ განმანათლებელი 2—
3. მეფე დავით მესამე აღმაშენებელი . 5—
4. თამარ მეფე, სურათით . , 5—

5. გიორგი მთაწმიდელი . . . 10—
6. იოანნე ზედაზნელი . . . 5—
7. შუშანიკა . . . . . 2—
8. ქეთევან დედოფალი . . . 2—
9. არჩილ და ლუარსაბი . . . 5—
10. წმიდა ნინო რუსულად . . . 8—

7. რელიგიური და ზნეობრივი შინაარსის წიგნები და საუბრები:

1. წმიდანი მღვდელ-მთავარნი: ბასილი დიდი, გრიგოლი ღვთის-მეტყველი და იოანნე ოქროპირი, სურათებით — თვასი 5—
2. როგორ უნდა ვმარხულობდეთ — თვასი . 2—
4. ანდრია პირველწოდებული, ისტორიული პოემა აკაკისა, ფასი . . . . . 5—
5. სიკვდილი მართლისა, პანტოლეონ პილატეს მეუღლის წერილი . . . 5—
6 ხმა მოძღვრისა სამწყოსადმი. საუბარი შესწავლა იესო ქრისტესი . . . . . 3—
7 შვილების მოვალეობა მშობელთადმი . 3—
8 მშობლების მოვალეობა შვილთადმი . 3—
9 ვინ არიან ჩვენი ცხოვრების მტერნი და როგორ უნდა ვსძლიოთ მათ . . . 3—
10 იუნჯებდით საუნჯესა ცათაშინა . . 3—
11 საუბარი ღვთის სიტყვაზე . . . 3—
12 — შრომაზე . . . . 3—
13. სამგვარი სიკვდილი . . . 5»

8. მოთხრობანი დაბადებიდან.

1. მეფე სოლომონ-ბრძენი სურათით—თვ. 5—
2. ესთერი (მოთხრობა დაბადებიდამ) სურ. 5—
3. სიბრძნე იესო ძისა ზირაქისა, სურათით. . 5—
4. იოსები . . . . . 5—
5. მრავალ წამებული იობი . . 5 კ.

11. მხატვრობანი სას. და საერო მოდვაწეთა.

1. შოთა რუსთაველი. . . . 25 კ.
3. თამარ მეფე . . . . . 25 კ.

იმექონება აგრეთვე შესავალ-გასავალის წიგნები ად ყოველგვარი მოწმ. ბლანკები და ამოწერილობანი.

ხატები და მხატვრობანი.

იმექონებიან პატარა იაფ-ფასიანი-ხატები ფიცარზე სამ-ოთხ გოჯიანი ფასი 5—10 კ. ხატები არის მაცხოვრის, ეკვრის ღვთის-მშობლის, წმიდა გიორგის, ანდრია მოციქულის, პირველ წოდებულისა და ათორმეტთა დღესასწაულთა. ვინც დაიბარებს ხატებს არა ნაკლებ ოცისა, იმათ ჩვენს საქართველოში ყველგან ფოსტის გასაგზავნი არა გარდახდება ამასთან იმექონება სქელ ქაღალდზე ნახატი წმიდა ნინასი, საქართველოს განმანათლებელისა ეარაყით 6+7 გოჯიანი ფასი 15 კ. ფოტო-ტიპიით დახატული წმიდანი მთავარ-მოწამენი დავით და კონსტანტინე 6+5 გოჯიანი ფასი 5 კ. ამავე ზომისა და ამისთანაევე სახით წმიდა ნინო ქართველთ განმანათლებელისა და დავით აღმაშენებელისა ფ. თითოსი 5 კ.

ვინც ზემოთ აღნიშნულ წიგნებს გამოიწერს არა ნაკლებ ერთი თუმნისა, მას მანეთზე დაეთმობა 30 კ. ვინც ორ კაპიკიან წიგნაკებს დაიბარებს არა ნაკლებ ასი ცალისა, ის ფოსტით გასაგზავნს არ იხდის.

იმექონება აგრეთვე მრავალი პატარა გულ-საკიდი ხატები ფერკადუვალი ლითონისა, სახელდობრ: ნინოსი, დავით და კონსტანტინესი, დავით აღმაშენებლისა, თამარისა, ანდრია პირველ წოდებულისა და წმიდა გიორგისა, ფასი თითოსი 5 კ. ვინც ასს დაიბარებს ნაღდ ფულზე, მას გაგზავნით დაეთმობა სამ მან. ესეთი იმექონებიან ეკლესიაც, ფასი 40 კ.

ჟურნალის „მწყემსი“-ს

სტამბა

(დ. დ. ღამბაშიძისა)

ღებს ყოველ-გვარ საბეჭდავ ზაკაზებს. სტამბა ასრულებს სამუშაოს სუფთად და დროზე, ძლიერ დაკლებულ ფასებში.

სტამბა იმყოფება დაბა ყვირილაში ღამბაშიძის საკუთარ სახლებში.

Дозволено Цензурою 30 Сентября 1909 года г. Кутаисъ
რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე, 30 სექტემბერი 1909 წ.

სტამბა ჟურნალის „მწყემსი“-ს რედაქციისა (დეკ. დ.ბ. ღამბაშიძისა) ყვირილა საკუთარ სახლში.